N 03/308
08/05/2023

308-01-3-202305081129

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ლექვინაძეს

ამავე სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
რევაზ კავთელიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დასახელების ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2023 წლის 30 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (**NAT230007199**), რომელიც დასრულდა 2023 წლის 7 აპრილს და მიმდინარე წლის 25 აპრილს მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N5-ით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჰეფი“, რომელთანაც 2023 წლის პირველ მაისს გაფორმდა ხელშეკრულება .

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 23 ივნისს N15 ბრძანებით დამტკიცებული „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის“ პირველი მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, გთხოვთ დაგვრთოთ ნება რათა მოვახდინოთ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადარიცხავა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე - 50.00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

რევაზ კავთელიშვილი

დეპარტამენტის უფროსი
ადმინისტრაციული დეპარტამენტი